სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი

ვერიფიკაციის ანგარიში

თბილისი 2023

შესავალი

ანგარიში მომზადებულია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „თსუ“) პროფესიული განათლების ცენტრის (ქ. თბილისი) ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ და წარმოადგენს **2023** წლის **03-24** ნოემბერს განხორციელებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგების შეჯამებას.

ტერმინების განმარტება:

შეფასება - შესაფასებელი პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესი. შეფასება მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის (პროდუქტის) შეფასებას და გამოკითხვას. შეფასების პროცესი უნდა იყოს სწორი (სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური), ხოლო შეფასების შედეგების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.

პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ვერიფიკაცია - ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი შიდა მექანიზმია, რომელიც განხორციელდა თსუ პროფესიული განათლების ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) თბილისის ლოკაციაზე. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი განხორციელდა: პროფესიული სტუდენტის (შემდგომში „სტუდენტი“) შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების პროცესში ან მისი დასრულების შემდეგ შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციის გზით.

ვერიფიკაციის პროცესი და პროცედურები

სტუდენტების შეფასების ვერიფიკაციის პროცესი მოიცავდა შემდეგი საკითხების განსაზღვრას: რისკების სისტემა (შერჩევის მექანიზმი), ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი პირი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები, ვერიფიკაციის პროცედურები **(დანართი 1 - ვერიფიკაციის პროცედურის მიმართულებები, ინდიკატორები და პასუხისმგებლობა).**

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემა 1.



ვერიფიკაციის პროცესი განხორციელდა **3** მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია; შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის პროცესი წარიმართა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის ზოგადი სქემისა **(სქემა 1)** და ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის გეგმა-გრაფიკის შესაბამისად **(დანართი 2 - ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი**).

ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა და ვერიფიკაციის გეგმის შედგენა

პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესის ვერიფიკაციის განხორციელების მიზნით, პროფესიული განათლების ცენტრის **2023** წლის **31** ოქტომბრის **N 04/85-07-01** ბრძანებით დამტკიცდა სამუშაო ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობა განისაზღვრა **23** წევრით (თბილისი, ქუთაისი), კერძოდ: ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის მდივანი, **13** დარგის ვერიფიკატორი, **2** განათლების ვერიფიკატორი და **6** ტექნიკური ვერიფიკატორი. ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით შემუშავებულ იქნა სამუშაო გეგმა, რომელიც შეთანხმებულ იქნა თსუ -ს ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან (**დანართი 3 - შეთანხმება ვერიფიკაციის გეგმის თაობაზე**).

რისკ-ფაქტორები

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესი“-დან გამომდინარე რისკების რეესტრში (სისტემაში) შერჩევის მექანიზმით გამოვლინდა : დაბალი, საშუალო, მაღალი და კრიტიკული რისკ-ფაქტორები და მიენიჭათ შესაბამისი ქულები (**დანართი 4 - რისკების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რისკების რეესტრი**), კერძოდ:

- საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილების რისკ-ფაქტორი (მისანიჭებელი ქულა - **4**);
- პრაქტიკული დავალების სიმრავლის რისკ-ფაქტორი (მისანიჭებელი ქულა დიფერენცირებულია დავალებების რაოდენობის მიხედვით:**1-3** ქულა);
- მასწავლებლის მუდმივად ფორმაში ყოფნის რისკ-ფაქტორი (მისანიჭებელი ქულა - **2**);
- ერთი ინსტრუმენტით მოდულის შეფასების რისკ-ფაქტორი (მისანიჭებელი ქულა დიფერენცირებულია **1** ინსტრუმენტით შეფასებული შედეგების რაოდენობის მიხედვით: **2-4** ქულა);
- დამწყები მასწავლებლის რისკ-ფაქტორი (მისანიჭებელი ქულა დიფერენცირებულია მასწავლებლად მუშაობის გამოცდილების მიხედვით:**1-3** ქულა).

პირველ ეტაპზე, ვერიფიკაციის პროცესი განხორციელდა ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე გარემოებების ჭრილში, შემდგომი ეტაპი კი მოიცვა დაბალმა და საშუალო რისკებმა; შერჩევა განხორციელდა შემთხვევითობის პრინციპით.

ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შემოწმდა შერჩეული მოდულების მტკიცებულებათა **100%**.

შერჩევის მოცულობა და ვერიფიკაციის ჯგუფზე ფუნქციების განაწილება

ვერიფიკაციას დაექვემდებარა **2022-2023** წლების მიღების ფარგლებში განხორციელებული და შემუშავებული **7** პროგრამის (საბაჟო საქმე, ბუღალტრული აღრიცხვა, საოფისე საქმე, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა, ღონისძიების ორგანიზება, საბიბლიოთეკო საქმე, საფინანსო სერვისები) **37** პროფესიული და **6** ზოგადი მოდულის ყველა შეფასების ინსტრუმენტი და მტკიცებულება (**იხ. დანართი 5 - რისკ-ჯგუფის მიხედვით შერჩეული მოდულები და ვერიფიკატორებზე ფუნქციების განაწილება):**

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ხელმძღვანელობით შედგა ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა. ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, სამუშაო ჯგუფის წევრებზე მოხდა ფუნქციების გადანაწილება (**დანართი 5 - რისკ-ჯგუფის მიხედვით შერჩეული მოდულები და ვერიფიკატორებზე ფუნქციების განაწილება).** დარგის ვერიფიკატორებად სამუშაო ჯგუფში შევიდნენ მასწავლებლები და პროგრამის ხელმძღვანელები თბილისის ლოკაციიდან, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ მონაწილეობდნენ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და ვალიდაციის პროცესში; განათლების ვერიფიკატორებად წარმოდგენილნი იყვნენ სასწავლო პროცესის სპეციალისტი და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ქუთაისის ლოკაციიდან. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის საკითხები აისახა სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმში (სამუშაო ჯგუფის ოქმი **N 1**).

ვერიფიკაციის დასკვნისა და სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები (ინდიკატორები), გამოკითხვის ჩატარების მეთოდები

ვერიფიკაციის შედეგების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ შემუშავებული ვერიფიკატორის დასკვნის ფორმა (**დანართი 6 - ვერიფიკატორის დასკვნის ფორმა**), რომელიც მიეწოდა დარგისა და განათლების ვერიფიკატორებს შესამოწმებელი პროცესების/ინდიკატორების შესაბამისად. დარგის ვერიფიკატორმა განახორციელა შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულების შინაარსობრივი მხარის შემოწმება (**დანართი 7 - შეფასების სისტემის ვერიფიკაციის კითხვარი დარგის ვერიფიკატორისთვის**), ხოლო განათლების ვერიფიკატორმა - ტექნიკური მხარის შემოწმება (**დანართი 8 - შეფასების სისტემის ვერიფიკაციის კითხვარი განათლების ვერიფიკატორისთვის**) წინასწარ შედგენილი ვერიფიკაციის კითხვარების საშუალებით. გამოკითხვა განხორციელდა ცალკეულ პროგრამებზე თითოული მოდულისთვის ინდივიდუალურად, ელექტრონულ

ფორმატში **Google Forms** სისტემის გამოყენებით. (**იხ. დანართი 9 - ვერიფიკატორების დასკვნები);**

დარგის ვერიფიკატორების მოთხოვნის საფუძველზე, სტუდენტებმა/კურსდამთავრებულებმა მონაწილეობა მიიღეს შეფასების სისტემის ვერიფიკაციაში წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით (**იხ. დანართი 10 - ვერიფიკაციის კითხვარი სტუდენტებისთვის**). სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 67-მა სტუდენტმა. გამოკითხვა განხორციელდა, ასევე, ელექტრონულ ფორმატში **Google Forms** სისტემის გამოყენებით თითოული მოდულისთვის ცალ-ცალკე (იხ. **დანართი 11 - სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები**).

ვერიფიკაციის შედეგები და მონაცემთა ანალიზი

თითოეული პროგრამის ფარგლებში, მთლიანობაში შეფასდა ცენტრის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა სტანდარტით და დაწესებულების რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით. შესაბამისად, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, ცალ-ცალკე წარმოგიდგენთ ვერიფიკაციის შედეგებს.

ტიპიური - საერთო, ზოგადი ხასიათის ხარვეზები

ვერიფიკაციის პროცესის შედეგად გამოიკვეთა ზოგადი ხასიათის ხარვეზები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია შეფასების უწყისის და ინსტრუმენტის ტექნიკურ მხარესთან, კერძოდ:

- შეფასების ინსტრუმენტი შეთანხმებულია ვალიდატორებთან (რაც დასტურდება შეფასების ინსტრუმენტში, შესაბამის ველში, ვალიდატორების ხელმოწერით), მაგრამ არ არსებობს ვალიდაციის ცალკე დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის კრიტერიუმები (ინდიკატორები);
- შეფასების ინსტრუმენტში შეფასების გარემოს გრაფაში მითითებულია "**A** გარემო", მაშინ, როდესაც შეფასება ყველა მოდულის შემთხვევაში რეალურად ტარდება „**B**" გარემოში, რამდენადაც ის ხორციელდება ელექტრონულად;
- შეფასების ინსტრუმენტებში წარმოდგენილი არ არის - ინფორმაცია გასაჩივრების (აპელაციის) პროცედურების შესახებ;
- რეგულაციაში მკაფიოდ არ არის გაწერილი შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტზე გაცნობის პირობები და შესაფასებელი პირისათვის შეფასების შედეგებთან დაკავშირებით უკუკავშირის/კონსულტაციის მექანიზმი.

პროგრამების მიხედვით გამოვლენილი ხარვეზები და გაცემული რეკომენდაციები

<u>საბაჟო საქმე</u>

ვერიფიკატორების მიერ შეფასდა საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **2022** წლის მიღების ჯგუფის **5** პროფესიული და **1** ზოგადი მოდულის ფარგლებში შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები (ასევე შეფასების პროცესი).

შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციისას გამოიკვეთა, რომ შეფასების ინსტრუმენტები არის ვალიდური.

შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას გამოიკვეთა, რომ შეფასების პროცესი არის გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური;

შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციისას დადასტურდა, რომ შეფასების მტკიცებულება არის სანდო (დეტალურად იხილე: „**დანართი 12 - ვერიფიკაციის შედეგები, ანალიზი**“).

<u>ბუღალტრული აღრიცხვა</u>

ვერიფიკატორების მიერ შეფასდა ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 6 პროფესიული მოდულის ფარგლებში შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები (ასევე შეფასების პროცესი).

შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციისას ერთ მოდულის ინსტრუმენტში (საგადასახადო დეკლარირება) გამოიკვეთა ერთი ტექნიკური ხასიათის ხარვეზი (მოდულის კოდი არასწორად იყო მითითებული), ამდენად შეფასების ინსტრუმენტები არის ვალიდური.

შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას გამოიკვეთა, რომ შეფასების პროცესი არის გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური;

შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციისას დადასტურდა, რომ შეფასების მტკიცებულება არის სანდო (იხ.: „**დანართი 12 - ვერიფიკაციის შედეგები, ანალიზი**“).

საოფისე საქმე

ვერიფიკატორების მიერ შეფასდა საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **2022** წლის მიღების **5** პროფესიული და **1** ზოგადი მოდულის ფარგლებში შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები (ასევე შეფასების პროცესი).

შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციისას მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ყველა მოდულის შეფასების ინსტრუმენტი არის ვალიდური.

2 მოდულის ინსტრუმენტთან დაკავშირებით გამოიკვეთა ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები, კერძოდ: მოდულის - „საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადება“ - ინსტრუმენტთან მიმართებით - მიუხედავად იმისა, რომ შეფასებისთვის გამოყოფილი დრო ემთხვევა მოდულში წარმოდგენილს, სასურველია, გადაიხედოს დავალების შესრულებისთვის გამოყოფილი დროის საკმარისობის საკითხი; შეფასების პროცესის აღწერაში წარმოდგენილი დავალების შესრულების ინსტრუქციები, სასურველია, ასევე, გაიწეროს შინაარსის ველში სწავლის შედეგის დასახელების შემდგომ; მოდულის ინსტრუმენტში - „საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე“ - არის ტექნიკური შეცდომა მოდულის სარეგისტრაციო ნომერში.

შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას გამოიკვეთა, რომ შეფასების პროცესი არის გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური;

ღონისძიების ორგანიზება

ვერიფიკატორების მიერ შეფასდა ღონისძიების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **6** პროფესიული და **2** ზოგადი მოდულის ფარგლებში შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები (ასევე შეფასების პროცესი).

შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციისას გამოიკვეთა, რომ შეფასების ინსტრუმენტები არის ვალიდური.

ერთი ზოგადი მოდულის ინსტრუმენტთან - „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ - დაკავშირებით გამოიკვეთა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, კერძოდ: შეფასების ინსტრუმეტში გასაგებად არის აღწერილი სწავლის შედეგების დადასტურების მექანიზმი, მაგრამ არ არის განსაზღვრული ხარვეზის დასაშვები ნორმა. მოდულის განმახორციელებელს მიეცეს რეკომენდაცია გაასწოროს აღნიშნული ხარვეზი.

შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას გამოიკვეთა, რომ შეფასების პროცესი არის გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური;

შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციისას დადასტურდა, რომ შეფასების მტკიცებულება არის სანდო (დეტალურად იხილე: „**დანართი 12 - ვერიფიკაციის შედეგები, მოკლე ანალიზი**“).

<u>საბიბლიოთეკო საქმე</u>

ვერიფიკატორების მიერ შეფასდა საბიბლიოთეკო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 5 პროფესიული მოდულის ფარგლებში შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები (ასევე შეფასების პროცესი).

შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციისას მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, 3 მოდულის შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით და შეფასების ინსტრუმენტები არის ვალიდური. ხოლო **2** პროფესიული მოდულის შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ და შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით არის გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

მოდულის - "საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება" - შეფასების ინსტრუმენტთან მიმართებით არსებობს შემდეგი შენიშვნები: ტესტურ შეკითხვებს უნდა ჰქონდეს თხრობითი ფორმა, ტესტური დავალების შეკითხვიდან არ უნდა გამომდინარეობდეს პასუხი, ასევე, შეკითხვები სავარაუდო პასუხებით უნდა იყოს მოკლე, მკაფიო და ლაკონური; დაზუსტდეს დავალებებისთვის ხარვეზის დასაშვები მინიმუმი;

მოდულის - „საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა" - შეფასების ინსტრუმენტთან მიმართებით არსებობს შემდეგი შენიშვნა: გამოკითხვის ნაწილში გარკვეული ნაწილი პასუხების გამომდინარეობს შეკითხვებიდან.

შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას, მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ **4** პროფესიული მოდულის შემთხვევაში, **2** მოდულის შეფასების პროცესი არის სრულიად გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

პროფესიული მოდულის შეფასების პროცესის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით არის გარკვეული შენიშვნები, კერძოდ:

პროგრამა: "საბიბლიოთეკო საქმე", მოდული: "საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება"

პრაქტიკულ ნაწილში ელექტრონულ ფორმაში სტუდენტი თავად უნდა აკეთებდეს ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს ბარათულ და ელექტრონულ კატალოგში და შესრულებული ნამუშევრის ბოლოს უნდა იყოს მითითებული შესაფასებელი პირის გვარი და სახელი. ასევე სასურველია სტუდენტის დავალებები იყოს რამოდენიმე ვარიანტის. „საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება“ - შეფასების პროცესის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით არის შემდეგი რეკომენდაცია: სასურველია, სტუდენტმა შეარჩიოს ერთი რომელიმე ბიბლიოთეკა და მის მაგალითზე წარმოადგინოს პრაქტიკული დავალება. მოდულთან - „საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება“ - მიმართებით: შეფასების ფურცელში საუბარია ინვენტარიზაციაზე, რომელიც "ფონდის მართვის" მოდულის საკითხებს მოიცავს.

შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციისას დადასტურდა, რომ **5** პროფესიული მოდულის შემთხვევაში, **4** მოდულის შეფასების მტკიცებულება არის სანდო. 1 პროფესიული მოდულის მტკიცებულებებთან დაკავშირებით არის გარკვეული შენიშვნები (დეტალურად იხილე: „**დანართი 12 - ვერიფიკაციის შედეგები, ანალიზი**“).

1 პროფესიული მოდულის - "საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა" - შეფასების მტკიცებულებასთან დაკავშირებით არის შენიშვნა: სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებები ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

<u>საფინანსო სერვისები</u>

ვერიფიკატორების მიერ შეფასდა საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **2022** წლის მიღების ჯგუფის **4** პროფესიული და **1** ზოგადი მოდულის ფარგლებში შესრულებული შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები (ასევე შეფასების პროცესი).

შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციისას მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ყველა პროფესიული მოდულის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტები არის ვალიდური.

ზოგად მოდულის - „სამოქალაქო განათლება“ - შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით არის შენიშვნები, კერძოდ: სწავლის მე - **3** შედეგის პრქტიკულ დავალებაში დეტალურად არ არის გაწერილი პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული დავალება; ხარვეზის დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი არ არის განსაზღვრული მესამე წავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტში.

შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას, მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ყველა პროფესიული მოდულის შემთხვევაში, შეფასების პროცესი არის სრულიად გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

ზოგადი მოდულის - „სამოქალაქო განათლება“ - შეფასების პროცესის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით არის გარკვეული შენიშვნები და რეკომენდაციები, კერძოდ:

მესამე სწავლის შედეგის პროფესიული სტუდენტის ზოგიერთი ნამუშევრი სრულად არ აკმაყოფილებს დავალების პირობებს და სასურველია, გადაიხედოს ყველა მტკიცებულება;

შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციისას დადასტურდა, რომ ყველა პროფესიული მოდულის შემთხვევაში შეფასების მტკიცებულება არის სანდო. (დეტალურად იხილე: „**დანართი 12 - ვერიფიკაციის შედეგები, ანალიზი**“).

ვერიფიკაციის პროცესის ძირითადი მიგნებები

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგების/დასკვნების ანალიზისას გამოვლინდა შემდეგი:

- პროგრამის - **„საბაჟო საქმე“** - ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სამართლიანი, ობიექტური და სანდო;
- პროგრამის - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** - ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სამართლიანი, ობიექტური და სანდო;
- პროგრამის - **„საოფისე საქმე“** - **2** პროფესიული მოდულის ფარგლებში შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებთან მიმართებით იკვეთება მხოლოდ მცირედი ტექნიკური, ხასიათის ხარვეზები, ამდენად პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სამართლიანი, ობიექტური და სანდო;
- პროგრამის - **„საბიბლიოთეკო საქმის“** - **2** პროფესიული მოდულის ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების ტექნიკურ და შინაარსობრივ/დარგობრივ ნაწილში იკვეთება სხვადასხვა ტიპის ხარვეზები. ცენტრი უზრუნველყოფს დამატებითი კონსულტაციების დანიშვნას საბიბლიოთეკო საქმის პროგრამის ხელმძღვანელთან და მასწავლებლებთან. მთლიანობაში შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობა ეჭვქვეშ არ დგება;
- პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** - შეფასებას დაქვემდებარებული პროფესიული მოდულის ფარგლებში შექმნილ ინსტრუმენტებთან, შეფასების პროცესთან და მტკიცებულებებთან მიმართებით ხარვეზი არ გამოვლენილა, მაგრამ ყურადსაღებია **1** ზოგადი მოდული, რომლის ფარგლებში ჩასატარებელია მასწავლებელთან კონსულტაციები. საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სამართლიანი, ობიექტური და სანდო;

რეკომენდაციები

განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამების / ცალკეული მოდულების მიხედვით

საბაჟო საქმე

საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია:

პროფესიული მოდულის - „**Ms Excel**“ - ის შეფასების ინსტრუმენტში გაიწეროს აპელაციის პროცედურები, მიეთითოს ხარვეზის დასაშვები ნორმა, შეცდომის მინიმალური ზღვარი.

ბუღალტრული აღრიცხვა

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია:

- პროფესიული მოდულის - „საგადასახადო დეკლარირება“ - შეფასების ინსტრუმენტში სწორად მიეთითოს მოდულის სარეგისტრაციო ნომერი და შესაფასებისთვის საჭირო გარემო;
- პროფესიული მოდულების - „საგადასახადო დეკლარირება“, „კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებში მუშაობა“, „პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება“, და „ეკონომიკური ანალიზი“ შეფასების ინსტრუმენტში გაიწეროს ინფორმაცია განმეორებითი შეფასების შესაძლებლობისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ.

საოფისე საქმე

საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია:

პროფესიული მოდულის - „საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადება“ - შეფასების ინსტრუმენტში გადაიხედოს დავალების შესრულებისთვის გამოყოფილი დროის საკმარისობის საკითხი და დაკორექტირდეს დავალების შესრულების ინსტრუქციები;

- პროფესიული მოდულის - „საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე“ - შეფასების ინსტრუმენტში გასწორდეს მოდულის სარეგისტრაციო ნომერი;
- ყველა მოდულის შეფასების ინსტრუმენტში მიეთითოს ხარვეზის დასაშვები ნორმა, შეცდომის მინიმალური ზღვარი.

ღონისძიების ორგანიზება

ღონისძიების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია:

- პროფესიული მოდულის - „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ შეფასების ინსტრუმენტში მკაფიოდ გაიწეროს ხარვეზის დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი.

საბიბლიოთეკო საქმე

საბიბლიოთეკო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია:

- პროფესიული მოდულის - "საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება" შეფასების ინსტრუმენტის შედეგში - გამოკითხვა (ტესტში) გასწორდეს: ა) შეკითხვისა და პასუხის ფორმულირება (შეკითხვებს მიეცეს თხრობითი ფორმა, შეკითხვის შინაარსი აღარ განმეორდეს პასუხებში); ბ) დავალების სავარაუდო პასუხები არ გამომდინარეობდეს დასმული შეკითხვიდან გ) მკაფიოდ გაიწეროს ხარვეზის დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი; ასევე, პრაქტიკულ დავალებაში, გასწორდეს შინაარსობრივი/დარგობრივი მიმართულებით არსებული ხარვეზები.
- პროფესიული მოდულის - „საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება“ - ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები დაკორექტირდეს იმგვარად, რომ გაწერილი დავალებები ფარავდეს შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ ყველა შედეგის ყველა კრიტერიუმს.

საფინანსო სერვისები

საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია:

- ზოგადი მოდულის - „სამოქალაქო განათლება“ - მე - **3** სწავლის შედეგის პრაქტიკული დავალებები სრულად გადაიხედოს. განმახორციელებელმა ყურადღება მიაქციოს, რომ შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული დავალება მიესადაგებოდეს მიცემული დავალების მოთხოვნას/პირობას. შემფასებელმა შეფასების პროცესი წარმართოს არსებული სტანდარტებისა და რეგულაციების დაცვით.

ინსტიტუციური, ზოგადი (საერთო) და ტექნიკური ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაციები

პროფესიული სტუდენტის ვერიფიკაციის წესში მკაფიოდ განისაზღვროს/გაიწეროს ვერიფიკაციის სრული პროცესი თანმდევი პროცედურებით, კერძოდ:

- რისკების რეესტრის შემუშვების პრინციპები (კოეფიციენტების გამოყენების, ერთი ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების შემოწმების ზღვრული (საკმარისი)/მაქსიმალური ოდენობების განსაზღვრის პირობები). შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას გასათვალისწინებელი ფაქტორები;
- განათლების/დარგის ვერიფიკატორები და ვერიფიკაციის ჯგუფის წევრები;
- ვერიფიკაციის ეტაპები ქრონოლოგიურად;
- ვერიფიკატორების/ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობისას ინტერესთა კონფლიქტის პირობები;

➢ რეგულაციაში დანართებად ჩაიდოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელებისათვის საჭირო ფორმები (ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნის ფორმა, პროფესიული სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ შეფასების პროცესის შეფასების ფორმა, შეფასების და სწავლების პროცესზე (ლექციებზე) დაკვირვების/მონიტორინგის განხორციელების ფორმა);

➢ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესი განხორციელდეს და დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტით, რომელშიც გაწერილი იქნება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ფორმალური და შინაარსობრივი კრიტერიუმები (ინდიკატორები), ექნება შევსებადი ველები, რეკომენდაციების გრაფა და ხელმოწერილი იქნება ვალიდატორების მიერ. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია რეგულაციაით მკაფიოდ განისაზღვროს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა. ასევე, შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში გაჩნდეს ჩანაწერი შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის შესახებ (შეფასების ინსტრუმენტში არსებული ველი: "შეთანხმებულია", შეიცვალოს ველით: "ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის შესახებ");

➢ რეგულაციაში დაზუსტდეს შეფასების შედეგების პროფესიული სტუდენტისთვის გაცნობის პირობები და შესაფასებელი პირისათვის შეფასების შედეგებთან დაკავშირებით უკუკავშირის/კონსულტაციის მექანიზმი.

შეფასების ინსტრუმენტში:

- ყურადღებით გადაიხედოს და გასწორდეს შეფასების ინსტრუმენტებში სტილისტური ხარვეზები;
- ელექტრონული შეფასების ჩატარების პირობებში შეფასების გარემოდ რეგულაციით განისაზღვროს „**B** გარემო“;
- შეფასების ინსტრუმენტში ცალკე მიეთითოს/გამოიყოს ველი - „ინფორმაცია გასაჩივრების (აპელაციის) პროცედურების შესახებ“;

- შეფასების ინსტრუმენტში გაჩნდეს დამატებითი ველი/გრაფა - "ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის შესახებ".
- ➢ შეფასების ინსტრუმენტში განმეორებითი შეფასების პროცედურის გრაფაში დაკონკრეტდეს ინფორმაცია მოდულის წინაპირობის არსებობისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროფესიული სტუდენტის განმეორებით დადასტურებაზე გასვლის დროის ლიმიტის შესახებ;
- ➢ შეფასების მიმართულება „პრაქტიკული დავალება დაკვირვებით“ - დავალების შესრულების პროცესს მეტი ვალიდურობისთვის/სამართლიანობისა და გამჭირვალობისთვის შეფასების ინსტრუმენტის შეფასების ფურცელში (ჩექლისტში) გაჩნდეს პროფესიული სტუდენტის ხელმოწერაც, რითაც იგი დაადასტურებს მის მიმართ განხორციელებული შეფასების ობიექტურობას/სამართლიანობას;
- ➢ პროფესიული მასწავლებლებისთვის, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული პერსონალისთვის დაიგეგმოს შეფასების ინსტრუმენტის/მტკიცებულებების შექმნასთან დაკავშირებული ტრეინინგი. მიეწოდოთ ინფორმაცია ვერიფიკაციის პროცესში იდენტიფიცირებული ხარვეზების შესახებ; გაეცნოთ შეფასების ინსტრუმენტში შესული ცვლილებები და დაევალოთ თავიანთი ინსტრუმენტების გადახედვა/კორექტირება;

➢ **შეფასების უსწყისში:** შესრულების კრიტერიუმები ამოღებულ იქნას უწყისიდან და გაჩნდეს ზოგადი ჩანაწერი: სწავლის შედეგი დადასტურდა, ან ვერ დადასტურდა. თუ კონკრეტული შედეგი მითითებულია, რომ ვერ დადასტურდა, ეს ისედაც მიუთითებს, რომ შესაფასებელმა პირმა ამ შედეგების კრიტერიუმები ვერ დაადასტურა.

ვერიფიკაციის ჯგუფის თავმჯდომარე: სოფიო კაკაურიძე

_____

ვერიფიკაციის ჯგუფის მდივანი: მარინე ხავთასი

_____